

<p>Erasmus+ CBHE ინსტიტუციური განვითარების 2017 წლის საგრანტო კონკურსის გამარჯვებული პროექტი/გრანტის მიმღები უნივერსიტეტი</p>	<p>კინერეთის აკადემიური კოლეჯი იორდანიაში</p>
<p><u>პროექტის სახელწოდება</u> <u>მთავარი მიზანი</u></p>	<p><u>შეფასების მექანიზმები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახლებური სასწავლო გარემოს ჩამოსაყალიბებლად (ASSET)</u></p> <p>მთავარი მიზანი: პროექტი მიზნად ისახავს არსებული შეფასების მეთოდების გადახედვას და გაუმჯობესებას, სწავლებისა და შეფასების ისეთი სისტემის განვითარებას, რომელიც საუკეთესოდ მიესადაგება სტუდენტების სასწავლო საჭიროებებს. პროექტის შედეგად ბენეფიციარ უნივერსიტეტებში მოხდება აკადემიური პერსონალის გადამზადება და შეფასების ახლებური მექანიზმების ჩამოყალიბება სასწავლო პროგრამებში.</p>
<p>პროექტის აქტივობები და შედეგები</p>	<p>პროექტის მთავარი აქტივობებია:</p> <p>შეფასების ახლებური მექანიზმების შემუშავება და დანერგვა, რათა გაუმჯობესდეს სწავლისა და სწავლების პროცესი პროექტში მონაწილე უნივერსიტეტებში. პარტნიორი შეიმუშავებს და დანერგავს შეფასების ახლებური მექანიზმების ზოგად ჩარჩოს.</p> <p>აკადემიური პერსონალის გადამზადება: მომზადდება შეფასების ახლებური მექანიზმის სახელმძღვანელო და ჩატარდება აკადემიური პერსონალის ტრენინგები. თითოეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან დატრენინგდება მინიმუმ 4 აკადემიურ პერსონალი, რომლებიც, თავის მხრივ, შემდგომში გაუმღვებინან თავიან უნივერსიტეტებში ტრენინგების ციკლს.</p> <p>შეფასების ახლებური მექანიზმების პილოტირება: შეფასების ახლებური მექანიზმების ეფექტიანობის პილოტირება მოხდება 2-4 სასწავლო კურსში აღნიშნული მეთოდის ინტეგრაციის მეშვეობით.</p> <p>ახლებური შეფასების მექანიზმების სახელმძღვანელოს გამოცემა: პილოტირების შედეგებზე დაყრდნობით თითოეული ბენეფიციარი უნივერსიტეტი მონაწილეობას მიიღებს შეფასების სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში.</p>
<p>პროექტის ტიპი</p>	<p>კროს რეგიონული ერთობლივი პროექტი</p>
<p>ევროპელი პარტნიორები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ზამბერგის უნივერსიტეტი (გერმანია) 2. ლინცის ეპარქიის კერძო პედაგოგიური გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი (ავსტრია) 3. ტალინის უნივერსიტეტი (ესტონეთი) 4. კორკის საუნივერსიტეტო კოლეჯი (ირლანდია)
<p>ბენეფიციარი უნივერსიტეტები</p>	<ol style="list-style-type: none"> 1. ჰადასაჰის აკადემიური კოლეჯი (ისრაელი) 2. გორდონის აკადემიური კოლეჯი (ისრაელი) 3. სახნინის კოლეჯი (ისრაელი) 4. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 5. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 6. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არასაუნივერსიტეტო პარტნიორები	1. არასამთავრობო ორგანიზაცია - Varam (ისრაელი)
პროექტის ბიუჯეტი:	<u>981.022 ევრო</u>